

საქართველოს კანონი

„სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №29-30, 9.07.1997, გვ. 15) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატებები:

1. კანონის მე-4 მუხლის ”ბ” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) დადგენილი წესით დამტკიცებული ისტორიულ-კულტურული და მხატვრული ფასეულობის ობიექტები, ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის სახელმწიფო არქივები, კინო-ფოტო და ფონო დოკუმენტების სახელმწიფო ფონდი, სახელმწიფო მუზეუმები, თეატრები, საქართველოს სამინისტროების (უწყებების) სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების არქივები და ფონდები საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე.”.

2. კანონის მე-7 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9, მე-10, მე-11 და მე-12 პუნქტები:

„9. ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო უფლებამოსილია არ შეამციროს საპრივატიზებო ქონების საწყისი ფასი და მიიღოს გადაწყვეტილება ამ მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტებით დადგენილი წესით სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესის გაგრძელების თაობაზე.

10. პრივატიზების პროცესის გაგრძელების შემთხვევაში, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო უზრუნველყოფს შესაბამისი სახელმწიფო ქონებისა და გამოცხადებული საპრივატიზებო პირობების თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნებას ამ კანონის მე-9 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით დადგენილი წესით.

11. თუ გამოცხადებული პირობებით საპრივატიზებო ქონების შეძენის შესახებ წარმოდგენილი იქნება პირის განცხადება და მისი წარდგენიდან ერთი თვის ვადაში საპრივატიზებო ქონების გამოცხადებული პირობებით შეძენის შესახებ სხვა პირის მოთხოვნა არ იქნება დაფიქსირებული საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო იღებს გადაწყვეტილებას განმცხადებლისათვის სახელმწიფო ქონების პრივატიზების თაობაზე.

12. თუ ამ მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში წარმოდგენილი იქნება სხვა პირის განცხადება გამოცხადებული პირობებით

საპრივატიზებო ქონების შეძენის შესახებ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო უზრუნველყოფს შესაბამისი სახელმწიფო ქონების პრივატიზებას კანონმდებლობით დადგენილი ფორმით“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი